ოქმი:**ო63.6322104001**
თარიღი:**14/04/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 8

ქ. სამტრედია. 8 აპრილი, 2022 წელი.

2022 წლის 8 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თავზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' ხელმძღვანელი, ნ.ნანობაშვილი. ბუღალტერი, ავთანდილ შენგელია.

2. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების, ბუღალტერი, ნინო რუხაძე.

3. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე. ბუღალტერი, ციცინო ქაჯაია.

4. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს, ხელმძღვანელი, ვეფხია ნადირაძე. ბუღალტერი ენძელა პატარიძე.

5. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, ხელმძღვანელი, ვეფხია სტურუა.

6. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, ბუღალტერი, ნანა ხუჭუა.

7. სამტრედიის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი, ლევან ახობაძე.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით

ბაღდავაძე.

დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე;

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია.

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბეჟან გეგეშიძე.

12. მერიის ადმინისტრაციის სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი, ნიკოლოზ სანაძე.

13. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნორა იანიკოვი.

14. შ.პ.ს. ,,სამტრედიის მაცნე''-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.

15. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საინფორმაციო ცენტრი''-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას - ,,დღე მშვიდობისა ბატონო კოლეგებო და პატივცემულო სტუმრებო! სრულიად მართლმადიდებელმა სამყარომ იზეიმა 7 აპრილი, ხარების ბრწყინვალე დღესასწაული. გილოცავთ, გისურვებთ მშვიდობას ჩვენს პლანეტაზე.

ხვალ 9 აპრილია. სამ ათეულ წელზე მეტი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 33 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილს დედაქალაქში მომხდარი სისხლიანი ტრაგედიის დღიდან. ქვეყნის უახლოესი ისტორიის კიდევ ერთი მტკივნეული ეპიზოდი, რაც დავიწყებას არასოდეს არ მიეცემა. არავინ და არაფერია დავიწყებული. თქვენ, ამ დარბაზში წარმოდგენილთა უმრავლესობა, იმ ტკივილიან დღეთა გახსენების ცოცხალი მემატიანები ბრძანდებით.

ბატონო კოლეგებო! პატივცემულო სტუმრებო! ნება მომეცით თქვენი სახელით, მადლობა გადავუხადო, ამ ორი ახალგაზრდა ყმაწვილის სახით წარმოდგენილ ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობას, რომლებიც ჩვენთან ერთად მწარედ განიცდიან ქვეყნის გულისტკივილს და მზად არიან თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მადლობა მათ მშობლებსა და აღმზრდელ პედაგოგებს.

გთხოვთ, წუთიერი დუმილით, პატივი მივაგოთ მამულისათვის დაღუპული გმირების მარადიულ ხსოვნას. (დაშვებული დროშების ფონზე შესრულდა საქართველოს ჰიმნი).

,,როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა''.

ბატონო კოლეგებო! მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის მიხედვით შევიკრიბეთ, რათა რიგგარეშე საკრებულოს სხდომაზე, ურთიერთშეთანხმების, თუნდაც შეუთანხმებლობის, განსხვავებული აზრის მოსმენის, პოლიტიკური კულტურისა და რეგლამენტის დაცვის ფონზე, განვიხილოთ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები. მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი საკითხები საფუძვლიანად, სრულფასოვნად და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად განხილულ იქნა, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო''-ს, შესაბამისი დარგობრივი კომისიების, გაერთიანებულ კომისიებსა და ბიუროს სხდომებზე.

გავეცნოთ დღის წესრიგს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის

მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №g-63.63213547 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 20 დეკემბრის N g-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Ng-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი"-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის g-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

6. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის g-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

7. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", 2021 წლის 20 დეკემბრის N g-63.632135418 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

8. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

9. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

10. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

12. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

13. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

14. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და

სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

15. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

16. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**.**

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

17. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

18. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე./

19. სხვადასხვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (31 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №g-63.63213547 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 31 მარტის** N62-622209054, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. მცირდება თანხა არაფინანსური აქტივის მუხლში, კომპიუტერის ხარჯი 0,2 ათ. ლარით, საქონელი და მომსახურეობის მუხლში, რბილი ინვენტარის და უნიფორმის ხარჯი 0,2 ათ. ლარით, სამედიცინო ხარჯის მუხლში 0,1ათ. ლარით და შესაბამისად ოფისის მუხლში, საოფისე ავეჯის ხარჯის თანხა იზრდება 0,4 ათ.ლარით და სხვა საქონელი და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის თანხა 0,1ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'', 2022 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №გ-63.63213547 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'', 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 31 მარტის N** 62-622209066, **წერილობითი** მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, კვების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 102.0 ათ.ლარით, კონტიგენტის გამოუცხადებლობის გამო. შესაბამისად იზრდება ოფისის ხარჯის მუხლი - ასლგადამღების ხარჯის თანხა 0,4 ათ. ლარით, მუსიკალური ინსტრუმენტის ხარჯის მუხლი 1,2 ათ. ლარით. არაფინანსურ აქტივში ბაგა-ბაღების ნაწილობრივი რემონტისათვის არასაცხოვრებელი შენობების ხარჯის მუხლი 100,4 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'', 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135415 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 31 მარტის N**62-622209055, **წერილობითი** მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, თანხა

მცირდება საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 2,0 ათ. ლარით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაყვანა-გადაზიდვის) ხარჯის მუხლში 0,9 ათ.ლარით, კულტურული, სპორტული საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში 3,0 ათ. ლარით, საარქივო მომსახურეობის ხარჯის მუხლში 0,5 ათ.ლარით, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯის მუხლში 0,5 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივების მუხლში (კომპიუტერი) 0,8 ათ. ლარით. სულ 7,7 ათ.ლარით. შესაბამისად თანხა იზრდება საოფისე ავეჯის ხარჯის მუხლში 2,0 ათ. ლარით, მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საბავშვო ბიბლიოთეკისათვის საოფისე ავეჯის შესაძენად რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 4,0 ათ. ლარით, ფოლკ-თეატრ ''ლილესათვის'', ახალი საზაფხულო პროექტისათვის, საცეკვაო ფორმებისათვის ქსოვილის შეძენის ხარჯის მუხლი, არაფინანსური აქტივებიდან, სხვა მანქანა დანადგარები, რომელიც არაა კლასიფიცირებული 1,7 ათ. ლარით, სულ 7,7 ათ ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს, 2022 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 31 მარტის N**62-622209053, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მცირდება სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლში კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის თანხა 5,0 ათ.ლარით, შესაბამისად ოფისის მუხლში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯის თანხა იზრდება 5,0 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: აკაკი მინაშვილმა, გოჩა არველაძემ.

აკაკი მინაშვილი - მე, კომისიის სხდომაზე და დღესაც მხარს ვუჭერ წარმოდგენილ პროექტს. კარგად ვხედავ მუნიციპალიტეტის დამოკიდებულებას საქმის კეთებასთან დაკავშირებით, მაგრამ სასურველი იქნება თუ ჯერ დაიდება ხელშეკრულება,

ცვლილებები განიხილება საკრებულოზე და შემდეგ შესრულდება სამუშაოები.

გოჩა არველაძე - მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ ხელშეკრულება ჯერ არ არის დადებული. ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება და ამის შემდგომ დაიდება ხელშეკრულება მშენებლებთან.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს, 2022 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის Nგ-63.632135419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 31 მარტის N**62-622209050, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საჭიდაო კლუბი ფალავანი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, შემოსავლების გეგმა იზრდება 9,8 ათ. ლარით; შესაბამისად ხარჯების ნაწილში სუბსიდიის გეგმა გაიზარდა სულ 5,6 ათ.ლარით, მათ შორის: კომუნალური ხარჯის მუხლში 0,8 ათ.ლარით, (რომელიც საჭიროა წყლის აბონენტის ხარჯის გასაწევად წლის განმავლობაში), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობაში, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში 4,8 ათ. ლარით. არაფინანსური აქტივების გეგმის გაზრდას სულ 4,2 ათ.ლარით, მათ შორის: ძირითადი აქტივები, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემების ხარჯის მუხლში 1,2 ათ. ლარით, რათა მოხდეს ჩხეიძის ქუჩა N1-ში მდებარე სპორტული დარბაზისთვის წყლის და კანალირების ქსელის დაერთება, ნებართვა და ახალი აბონენტის დარეგისტრირება. ასევე იზრდება სხვა მანქანა - დანადგარები და ინვენტარის ხარჯის მუხლი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 3,0 ათ. ლარით, რითაც შეძენილი იქნება ორთქლის ღუმელი დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქუჩა N62-ში მდებარე სპორტული დარბაზისათვის.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს, 2022 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135413 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 31 მარტის N**62-622209051, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, ოფისის მუხლში კავშირგაბმულობის ხარჯის თანხა მცირდება 02.0 ათ.ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლში სპორტული ღონისძიებების ხარჯის თანხა 0,2 ათ.ლარით. შესაბამისად კომუნალური (ელექტრო-ენერგიის) ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0,4 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს, 2022 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის გ-63.632135412 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2021 წლის 20 დეკემბრის N გ-63.632135418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 6 აპრილის N:62-622209630 კორექტირებული წერილობითი მომართვა, რომელშიც გათვალისწინებული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიაზე დაფიქსირებული შენიშვნები. კერძოდ,

პროგრამას დაემატა მუხლი 28, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ,,მუხლი 28. ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება''.

1. პროგრამა ითვალისწინებს სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახლადშექმნილი ოჯახების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას. პროგრამით ისარგებლებს ახალდაქორწინებული წყვილი, რომელთაგან ერთ–ერთი მაინც ქორწინების რეგისტრაციისათვის ირიცხებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 120000–ს და შეეძინათ პირველი შვილი. საკრებულოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, მიიღებენ ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარს.

2. სოციალური ბიუჯეტი გაიზარდა 25 000 - ლარით; კერძოდ გაიზარდა შემდეგი მუხლები:

მუხლი 17. ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში - 10 000 ლარით;

მუხლი 28. ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება - 10 000 ლარით;

მუხლი 10. სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო თანხა - 5 000 ლარით;

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2022 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2021 წლის 20 დეკემბრის

Nგ-63.632135418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა, დავით ჯანელიძემ, საპატიო მიზეზის გამო თხოვა, საკრებულოს თავმჯდომარეს სხდომიდან განთავისუფლება. დავით ჯანელიძემ, დღის წესრიგის მე-7 საკითხის დამტკიცების შემდეგ, დატოვა საკრებულოს სხდომა. შესაბამისად საკრებულოს დღის წესრიგის დანარჩენი საკითხების დამტკიცებისას, კენჭისყრაში მონწილეობა არ მიუღია.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და მუნიციპალიტეტის მერიის, **2022 წლის 31 მარტის N** 62-622209056, **წერილობითი** მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი თანხის ოდენობა ხელშეკრულებით განესაზღვრა 262,2 ათ. ლარის ოდენობით. შესაბამისად გაიზარდოს კოდი 04 02 ზოგადი განათლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 660,0 ათ. ლარი. შესაბამისად, გაიზარდოს კოდი 02 04 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების არაფინანსური აქტივების გეგმა 639,0 ათ. ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების გეგმა - 21,0 ათ. ლარით.

„2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში შეტანილი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მარტის N527 ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა სულ 1,639.7 ათ. ლარით, მათ შორის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 1,300.0 ათ. ლარს, ხოლო თანადაფინანსება - 339,7 ათ. ლარს.

ასევე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამი თვის შემოსულობების ანალიზიდან გამომდინარე გაიზარდოს და მოწესრიგდეს შემოსულობების გეგმა - 537.7 ათ. ლარით, ასევე, შემცირდეს არსებული ნაშთი - 103,8 ათ. ლარით, სულ - 641.5 ათ. ლარით;

კერძოდ:

- პროცენტების გეგმა - 31,5 ათ. ლარით;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 0,2 ათ. ლარით;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 9,5 ათ. ლარით;
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 80,0 ათ. ლარით;
- ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე - 66,5 ათ. ლარით;
- არაფინანსური აქტივების კლების გეგმა - 350.0 ათ. ლარით.

შესაბამისად გაიზარდოს გადასახდელები 641.5 ათ. ლარით, კერძოდ:

- კოდი 05 01 02 07 ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"-ს სუბსიდიის გეგმა - 5,6 ათ. ლარით; არაფინანსური აქტივების გეგმა -4,2 ათ. ლარით; (სულ - 9,8 ათ. ლარით);

- **კოდი 02 02 03 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის** საქონელი და მომსახურების გეგმა - 100,0 ათ. ლარით.

- **კოდი 06 02 04 სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებების** სოციალური უზრუნველყოფის გეგმა - 25,0 ათ. ლარით.

- **კოდი 02 04 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების** არაფინანსური აქტივების გეგმა -118,0 ათ. ლარით (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულების ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსების მიზნით).

- **კოდი 04 04 ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის** არაფინანსური აქტივების გეგმა - 339,7 ათ. ლარით (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მარტის N527 განკარგულების თანადაფინანსება) და ასევე, მონიტორინგი - 49,0 ათ. ლარით. (სოფელ იანეთში საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის).

მუხლობრივი ცვლილებები:

- **კოდი 05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდეს - 12,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სხვა ხარჯების გეგმა.
- **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს

10,4 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სხვა ხარჯების გეგმა -2,4 ათ. ლარით და საქონელი და მომსახურების გეგმა - 8,0 ათ. ლარით.

- **კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს **60,2 ათ. ლარით** და შესაბამისად გაიზარდოს **კოდი 02 02 01 ბინათმშენებლობის** სხვა ხარჯების (კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული) გეგმა **6,4 ათ. ლარით; კოდი 02 03 03 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - **15,9 ათ. ლარით; კოდი 02 03 05 ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - **4,0 ათ. ლარით და კოდი 05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა **- 33.9 ათ. ლარით.** (50 000 ლარზე მეტი ღირებულების სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო-მომსახურების სამუშაოების შესყიდვის მიზნით).
- **კოდი 04 01 ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 100,4 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.
- **კოდი 04 03 ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 0,9 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.
- **კოდი 05 02 01 06 ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა შემცირდეს - 0,2 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უქმდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. აღნიშნული სამსახურის ფუნქციები დაემატება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონის 25-ე

მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №37 დადგენილება, (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 08/12/2017. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016256).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირველი რიგის რეორგანიზაციის დროს, არც ერთი პირი არ თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან. ხდება მხოლოდ გადაადგილებები. 5 საშტატო ერთეული საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან გადადის მერიის ადმინისტრაიულ სამსახურის დაქვემდებარებაში.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის გაუქმების შემდეგ, ფუნქციები დაემატება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციების განხორციელებისათვის, დაემატება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხუთი საშტატო ერთეული.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიაში შეიქმნება ზედამხედველობის სამსახური. წარმოდგენილია სამსახურის დებულება. მომხსენებელმა მუხლობრივად გააცნო დებულების პროექტი. სამსახური წარმოდგენილია ორი განყოფილებით და 10 საშტატო ერთეულით.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, ამომწურავი განმარტება გააკეთა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსმა, ნიკოლოზ სანაძემ. კერძოდ, აღნიშნა, რომ მართალია უქმდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მაგრამ მისი ფუნქციები გადადის ადმინისტრაციულ სამსახურში და იქნება მის დაქვემდებარებაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში 4 საშტატო ერთეული იყო დაკავებული. დანარჩენი ვაკანტური იყო. ანუ 5 საშტატო ერთეული გადავა ადმინისტრაციულ სამსახურში და რადგან სამსახურის უფროსის თანამდებობა ვაკანტური იყო, ეს გაუქმება არ იწვევს პიროვნების განთავისუფლებას. ადმინისტრაციულ სამსახურში იქნება მიმართულება და ეს თანამშრომლები იქნებიან სამსახურის უფროსის დაქვემდებარებაში.

დანარჩენი სამსახურის დებულებებში ცვლილებები გამოწვეულია ზედამხედველობის სამსახურის შექმნით. ზედამხედველობის სამსახური იქნება ორ განყოფილებიანი. ერთი-საამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილება და მეორე-სანებართვო პირობების დაცვის, საექსპლოატაციო ობიექტების და მოქალაქეთა უფლებების დაცვის ზედამხედველობის განყოფილება.

დღემდე ერთ სამსახურში იყო თავმოყრილი ნებართვის გაცემა, მშენებლობის ინფრასტრუქტურის საკითხები და ზედამხედველობა. ეხლა ინფრასტრუქტურული სამსახური შეისწავლის ნებართვის გაცემის საკითხს ან მუნიციპალური დაკვეთების შემთხვევაში წარმოდგენილ პროექტებს და როცა მშენებლობის მიმდინარეობის პროცესი იქნება, ზედამხედველობის სამსახურის განახორციელებს, როგორც კერძო დაკვეთებზე ასევე მუნიციპალური დაკვეთების შემთხვევაში ინსპექტირებას. ამ ჯგუფში ზედამხედველობის თანამშრომლები იქნებიან წარმოდგენილი. მშენებლობის პროცესი რომ დაიწყება, მათ შორის დასრულების ჩათვლით, საგარანტიო ვადის გასვლამდე იქნება დაკვირვება ამ სამსახურის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურს გამოეყოფა სამშენებლო ზედამხედველობის ფუნქციები, რის შედეგად სამსახურს მოაკლდება სამშენებლო ზედამხედველობის საკითხებში ერთი საშტატო ერთეული.

ასევე ზედამხედველობის სამსახურში დასუფთავების მოსაკრებლების საკითხიც მოწესრიგდება. ამით არის გამოწვეული საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში ცვლილება. დღემდე ეს ფუნქცია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში იყო. შესაბამისად მოაკლდება ეს ფუნქცია და იქ დასაქმებული 3 პირი გადავა ზედამხედველობის სამსახურში.

მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვის და სოფლის მეურნეობის სამსახურს გამოეყო, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2-ე და 152^2 მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ფუნქციები, რის შედეგადაც აღნიშნულ სამსახურს მოაკლდა ერთი ვაკანტური საშტატო ერთეული.

შემდეგ არის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის

დებულებაში ცვლილება. ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილება იქმნება. აღნიშნულთან დაკავშირებით მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს მოაკლდება ორი საშტატო ერთული და გადავა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში შექმნილ ბავშვთა დაცვის განყოფილებაში და გარდაიქმნება ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებში საშტატო ერთეულად.

მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში ცვლილება არის გამოწვეული იმით, რომ გაუქმდება მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილება. შიდა აუდიტის სამსახურს მოაკლდება ერთი საშტატო ერთეული. სამსახურში დარჩება შიდა კონტროლის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საშტატო გადაადგილება და რეორგანიზაცია არ იწვევს თანამშრომლის შემცირებას და ვინმეს სამსახურიდან განთავისუფლებას, სულ იყო 84 საშტატო ერთეული (საჯარო მოხელე) და 84-ია ეხლაც.

საკრებულოს წევრების მიერ, საკითხის ირგვლივ დასმულ სხვა შეკითხვებს, ამომწურავი პასუხი გასცა ნიკოლოზ სანაძემ.

აზრი გამოთქვეს: აკაკი მინაშვილმა, გივი ჯულაყიძემ

აკაკი მინაშვილი - გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით პრობლემები იყო წინა მთავრობაში, დღესაც და სავარაუდოდ მიმაჩნია, რომ ეს გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ჩატარდა უამრავი ღონისძიება. დაიწერა გამაფრთხილებელი ოქმები. მაგრამ შედეგი მაინც არ დადგა. გაიხსნა ყველის ბაზრობა და გადავიყვანეთ ყველით მოვაჭრეები სავაჭრო ადგილებზე. მაგრამ მეორე დღეს ისევ იქ იდგნენ. ვფიქრობ რომ საჭიროა უფრო ხისტი მიდგომა და ქმედითი ღონისძიებების გატარება.

გივი ჯულაყიძე - მოიძენბოს ალტერნატიული გზა, გავესაუბროთ ბაზრის დირექტორს და მოინახოს ფინანსური გზა ისეთი, რომელიც არ დააზარალებს არც ერთ და არც მეორე მხარეს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურს გამოეყოფა სამშენებლო ზედამხედველობის ფუნქციები, რის შედეგადაც ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის,

ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურს მოაკლდება სამშენებლო ზედამხედველობის საკითხებში ერთი საშტატო ერთეული.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გამოეყოფა დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ფუნქციები და საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურს მოაკლდება, დასუფთავების მოსაკრებელების საკითხებში, სამი საშტატო ერთეული.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და

სოფლის მეურნეობის სამსახურს გამოეყოფა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2-ე და 152^2-ე მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ფუნქციები, რის შედეგადაც ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს მოაკლდება ერთი ვაკანტური საშტატო ერთეული.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება გამოწვეულია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში, ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილების შექმნით. საჭიროა დებულებაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის

4 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურში გაუქმდება მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილება. შიდა აუდიტის სამსახურს მოაკლდება ერთი საშტატო ერთეული. შიდა აუდიტის სამსახურში დარჩება შიდა კონტროლის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის სამსახურებში, ზემოთ წარმოდგენილმა ცვლილებებმა, განაპირობეს მერიის დებულებაში შესაბამისი ცვლილებები.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XVIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის საშტატო ნუსხაში განხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურს გამოეყოფა სამშენებლო ზედამხედველობის ფუნქციები, რის შედეგადაც ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურს მოაკლდება სამშენებლო ზედამხედველობის საკითხებში ერთი საშტატო ერთეული.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს გამოეყოფა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის ფუნქციები, რის შედეგადაც სამსახურს მოაკლდება ერთი ვაკანტური საშტატო ერთეული.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს გამოეყოფა დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ფუნქციები და საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურს მოაკლდება დასუფთავების მოსაკრებელების საკითხებში 3 საშტატო ერთეული.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურში გაუქმდება მონიტორინგისა და შიდა კონტროლის განყოფილება. შიდა აუდიტის სამსახურს მოაკლდება ერთი საშტატო ერთეული.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილებას მოაკლდება ერთი ვაკანტური საშტატო ერთეული (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მერის წარმომადგენლების კოორდინაციის საკითხებში).

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურს მოაკლდება ერთი საშტატო ერთეული (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტერიტორიის კეთილმოწყობის საკითხებში).

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს მოაკლდება ორი საშტატო ერთეული და გადავა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურში შექმნილ ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილებაში და გარდაიქმნება ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებში საშტატო ერთეულებად.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის სტატისტიკის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული

გარდაიქმნება ეკონომიკისა და სტატისტიკის საკითხებში მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეულად.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში (ადმინისტრაციულ ერთეულში) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელის საშტატო ერთეულს მოაკლდება ერთი შტატი და საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში სპეციალისტის ერთი საშტატო ერთეული დაემატება, ქალაქ სამტრედიაში (ადმინისტრაციულ ერთეულში) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის საშტატო ერთეულს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთ კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 30-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (30 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი